ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

კვირა
10 იანვარი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. ფოსტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

№ 259 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 259

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

პარასკევს, 8 იანვარს, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ღ. ახალ სენაკში გარდაიცვალა

ივლიტა ზურაბ ნორაკიძის ასული ადანაიასი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს დამწუხრებულნი მეუღლე მისი გიორგი და მაზლი ბეგლარ (ბეკო) ეხარდის ძენი ადანაიები; რძალი მაიკო ხახუს ასული ადანაიასი, მაზლის წულები: გრიგოლ, დიმიტრი და შტაბს-კაპიტანი კონსტანტინე ბეგლარის ძენი ადანაიები.

ცხედარს გამოასვენებენ ღ. ახალ სენაკიდან (საკუთარი სახლი) სამშაბათს, 12 იანვარს, დილის 10 საათზე და წაასვენებენ სოფ. ხორშს, სადაც დაკრძალვენ ოთხშაბათს, 13 იანვარს, საადანაიოს საგვარეულო ეკლესიის სასაფლაოზე.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე. 3 1-7186

---

11 იანვარს, დილის 9½ კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის

თინათინ ვასილ კოკოჩაშვილის ასულის

გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების გამო, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედ-მამა მისი **ლუცია იოსების ასული** და **ვასილ პეტრეს ძე კოკოჩაშვილები**—შვილებით და დეიდა მისი მარიამ იოსების ასული ყაუხჩიშვილი. 1—1—7188

სამშაბათს, 12 იანვარს 1916 წ.

საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება ტრადიციული

სტუდენტთა საღამო

ლატარია-ალეგრით.

ქუთაისის „ქართულ დასის“ მიერ შალვა დადიანის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება **„ქორწილი სოფლად“**, მოზაიკა სიმღერით და ცეკვით.

მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მომღერალი ქალი იტალიური ოპერისა **ქარმენ სოლიარი** (სოპრანო), საიმპერატორო თეატრის მსახიობი **რ. ფ. ბერნარდი** (ბარიტონი), აა ეკალაძე, ნემო, ფეიჯენკო, კოვალენკო და სხ.

სტუდენტთა ხორო მ. შარაბიძის ლოტბარობით შეასრულებს „Gaudeamus“ და სტუდენტთა სხვა სიმღერებს.

— ცეკვა. — დაუკრავს მუსიკა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. საღამოს დიასახლისი — თავმჯდომარე საზოგადოების გამგეობის ელ. ნ. ხეჩინოვისა.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, **№ 70,** სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.

გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

სტუდენტი ფილოლოგი ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს, ზომიერ ფასათ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 2—4 ს.

გოსპიტლის ქუჩა სახლი ლახვერდიევის, ბინა ალელოვისა. თ.

მოსკოვის ფირმის განყოფილება

„ნ. უდალოვი და ი. ვასილოვი“

ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მხოლოდ სამი დღით

ორშაბათს 11-ს, სამშაბათს 12-ს და ოთხშაბათს 13 იანვარს 1916 წ.

ნიშნავს **იაფ ვაჭრობას** ნიშნავს

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისა. 4—2

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ხუთშაბათ 7 იანვარს, 1916 წ. საუცხოვო მხატვრული პროგრამა:

მამები და შვილები

კინოილიუსტრაცია ი. ს. ტურგენევის რომანისა, ქართული დრამატიული დასის ცნობილი მსახიობის **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამაში.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან 7 იანვრიდან ნაჩვენები იქნება

საშკა სემინარიელი

მეოთხე სერია (რუსი როკამბოლი). ნაწილი 1. ციმბირიდან გამოქცევა. 2—პასპორტის ძიება. 3—მე ვარ აფეირა უმაღლესი მარკიზა. 4—მაძებარი პოლიციის ხელში.

ვასო აბაშიძის გასტროლი.

წარმოდგენა № 12

ქალაქი ქუთაისი. **„ქართული დრამა“** ქალაქის თეატრი.

კვირას, 10 იანვარს, წარმოდგენილი იქნება:

1

რაც გინახავს ვეღარ ნახავ.

კომ. 3 მ. ა. ცაგარლისა.

2

რაც არ მერგება არ შემერგება

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ანდრონიკაშვილი ელო, ბეჟანიშვილი სუზანა, კავთელი ან., მდივანი მ.რო, ლოლობერიძე ოლ.; ბბ. ბარველი ვანო, გვარამძე ნიკო, დადიანი შალვა, კორიშელი პლატონ, მერესიძე ანდრო, ხარელი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **შ. დადიანი.** დირექცია „ქართული დრამის“ ამხ.

ანონსი: მზადდება **ნიკო ზვარაძის საბენეფისოდ „მოლიპულ გზაზე“**

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თ.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-ვე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ

მსოფლიო ომი.

გერმანელებმა მოქმედების უმთავრესი სიმძიმე სამხრეთის რაიონიდან ჩრდილოეთის რაიონში გადაიტანეს და გამუდმებით იერიშები მიაქვთ. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ სამხრეთის რაიონში ვერც ერთმა მოპირდაპირემ საგრძნობელ შედეგს ვერ მიაღწია და ერთი მათგანი იძულებული გახდა მოქმედება და შეტევა სხვაგან გაეჩაღებია. წინა ტელეგრამებში უკვე ნათქვამი იყო რომ გერმანიის ჯარი დვინსკზე გადავიდაო. ამის შესახებ ჯერ გარკვევით არავითარი ცნობა არ მოსულა. დეპეში არ იტყობინებოდა, გაარღვიეს თუ არა გერმანელებმა რუსების ფრონტი, თუ მხოლოდ მოწინავე რაზმმა შესძლო მდინარეზე გადასვლა, დღევანდელი დეპეშიც ამის შესახებ არავითარ ახალ ცნობას არ იძლევა. მაშასადამე, ამ ადგილში ჯერაც მდგომარეობა გამოურკვეველია.

დვინსკის რაიონშიც მოქმედება განცხოველდა. ერთ-ერთი დეპეში დვინსკის პოზიციებს იხსენიებდა, მაშასადამე გერმანელები დვინსკის პოზიციებს მიახლოვებიან. დღევანდელი დეპეშის მიხედვით დვინსკის რაიონში რუსების არტილერიას წარმატებით უმოქმედნია, მაგრამ დეპეში არ იტყობინება, თუ რა შედეგი ქონდა ამ მოქმედებას. ჩარტორიისკის რაიონში კი საპოზიციო ბრძოლა დაიწყო. აქ საქმე მეტათ გართულდა და გაჭიანურდა. იერიშებში ორივე მოპირდაპირე ერთმანეთს ეჯიბრება ავსტრიელები რამდენჯერმე ცდილა მაგრამ დაკარგული მაღლობის უკანდასაბრუნებლათ, ყოველთვის დამარცხებულან. ჩერნოვიცის რაიონიდან ამბავი არ მოსულა. ადვილი შესაძლებელია რუმინიის პოზიცია გამოირკვა და თუ ეს ასეა მაშინ ჩერნოვიცის რაიონს იმდენი მნიშვნელობა აღარ ექნება.

საყურადღებო ამბები მოდის კავკასიის ბრძოლის ასპარეზიდან და სპარსეთიდანაც, ზღვის პირის რაიონში, როგორც ნახსენები გვქონდა, ოსმალებმა მოქმედება განაცხოველეს და ფართო შეტევა დაიწყეს, როგორც დეპეში იუწყება, ისინი აქ კვლავ დამარცხებულან. სამაგიეროთ რუსები განაგრძობენ ოსმალების დევნას. რუსებმა უკვე აიღეს გამაგრებული ადგილი კიარიკეო და დღეს უკვე ჰასან-კალეც დაუკავებიათ. აქედან ოსმალებს უკან დაუხევიათ და აზრუმის ფორტებთან შეჯგუფებულან. ამ ნაირათ ამ რაიონში ოსმალნი დამარცხებულან და ახლო მომავალში დიდ ბრძოლას უნდა მოველოდეთ თვით აზრუმთან. ვანის ტბის სამხრეთის ნაწილშიაც შეუვიწროებიათ ოსმალონი.

სპარსეთში რუსებმა დაიკავეს სულთან აბადი: სულთან აბადი მდებარეობს ჰამადანის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ქერმანშახის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აქ მოქმედი ილტვის შეუერთდეს მესოპოტამიაში მოქმედ ინგლისის ჯარს.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 8 იანვარი. დასავლეთის ფრონტი. დვინსკის რაიონში ჩვენი არტილერია წარმატებით მოქმედებდა. სადგ. ვილეიკის რაიონში ხელში ჩავიგდეთ გერმანელების ჰაეროპლანი, ჩარტორიისკის ჩრდილოეთით მტერი ცდილობდა ჩვენ მიერ დაკავებულ მაღლობის ხელში ჩაგდებას. ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. ზბრაჟის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში მტრის საჰაერო ბურთი ჰაერშივე დაიწვა. კალათი ჩვენი ბანაკის ახლოს ჩამოვარდა.

კავკასიის ასპარეზი

ზღვის ნაპირა რაიონში ოსმალები ფართო ფრონტზე შეეცადენ ჩვენი ჯარის შევიწროებას, მაგრამ დიდი ზარალით უკუვაქციეთ. ჩვენმა ჯარმა უკანდევნის დროს ბრძოლით აიღო ქალაქი ჰასან-კალე და უკან სდევდა მტერს არზრუმის ციხის ფორტებამდი.

ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 1500 ჯარის კაცი, ვიხელთეთ ბევრი სამხედრო დავლა, ბანაკი მტრისა. ყველა გზით ოსმალოები სასწრაფოთ უკან იხევენ არზრუმის ციხე სიმაგრისკენ თავშესაფარავათ, სტოვებენ რა ბრძოლის ველზე საარტილერიო და სასურსათო საწყობებს და ბევრ გასათბობ მასალას.

ყველგან ყრია გატენილი პატრონები. გზადაბნეული და დარჩენილი ჯარი უგზო უკვლოთ დაეხეტება. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე ჩვენმა ჯარმა შეავიწროვა ოსმალები დასავლეთისკენ. ურმიის ტბის სამხრეთით ჩვენ კვლავ უკუვაქციეთ ქურთთა რაზმის მდ. ჯიგატუს იქით.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მთაზავეთის წინააღმდეგ გალაშქრების მნიშვნელობა.

სამხედრო მიმომხილველი მ. იგლინი ავსტრიის მიერ ჩერნოგორიის დაპყრობის შესახებ სწერს: „მთელი ეს ოპერაცია ავსტრიის მიერ ჩერნოგორიის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმეთ მაინც ერთ დიდ დემონსტრაციათ შეიძლება ჩავთვალოთ; ისეთ დემონსტრაციათ, რომელიც მტერს აშკარათ უჩვენებს, რომ მის მოწინააღმდეგეს ასეთ რთულ პირობებშიაც კი ძალუძს თავისი ჯარები როგორც სურს და სადაც უნდა იქ აამოძრაოს და აამოქმედოს, თუნდაც ამ მოქმედებას საეჭვო ნაყოფიც მოჰქონდეს. ეს დემონსტრაცია რომ ავსტრიას სრული სიწყნარის დროს გაემართა, მაშინ, რა თქმა უნდა, შესაფერ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა; მაგრამ მაშინ, როცა საქმე აღმოსავლეთშიაც, გალიციაშიაც და ბუკოვინაშიაც მძაფრი შეტაკებანი ხდებოდა, სულ სხვაა"....

ამბოხება ჯარში.

ამასწინათ გაზეთები გადმოგვცემდენ, რომ გერმანიის ჯარის ერთ ბატალიონში ამბოხება მოახდინესო; მაგრამ ეს ცნობა დღემდე საეჭვოთ იყო მიჩნეული. დღეს, როგორც „ბირჟ. ვედ". საკუთარი კორესპონდენტი გადმოგვცემს, დატყვევებულ გერმანელ ლანდშტურმისტის სიტყვიდან დანამდვილებით გაიგეს, რომ კემერნსის რაიონში გერმანიის ჯარის ორ ბატალიონს მოთხოვნები წარუდგენიათ თავიანთ უფროსებისათვის, რაცა შეეხებოდა სურსათის და ტანისამოსის ნაკლებობას და სხვა მძიმე პირობების შემსუბუქებას. ბატალიონები იმუქრებოდენ თურმე, რომ, თუ პირობებს არ გაგვიუმჯობესებთ, იარაღს დავყრით და ბრძოლაზე ხელს ავიღებთო. მეთაურები დაატყვევეს და სამშობლოში გაგზავნეს, ხოლო ბატალიონების მდგომარეობა რამდენათაც შესაძლებელი იყო გააუმჯობესეს; ამასთან უფროსები ჯარის კაცთ იმათ ამშვიდებდენ და ანუგეშებდენ, რომ პირდებოდენ: ზავი მალე გამოცხადდება და ომი შეწყდებაო.

ჩერნოგორიის დაპყრობა.

ავსტრო-უნგრეთის გენერალური შტაბი აცხადებს.

„ჩვენი ჯარები გუშინ, 1 იანვარს ჩერნოგორიის დედა-ქალაქში, ცეტინიეში შევიდენ. ქალაქის გარშემო გამართულ ბრძოლებით თვითონ ქალაქს დიდი არაფერი ევნებია. მოქალაქენი წყნარათ და მშვიდათ შეხვდენ ამ ამბავს.

ჩერნოგორიის ჯარებმა სკუტარის გზით უკან დაიხიეს: ასე რომ ისინი იძულებული არიან ან სულ დაყარონ იარაღი, ან ალბანეთის ასპარეზზე, თავის სამშობლოს გარეთ შეებრძოლონ მტერს

ქრონიკა

რუსეთი.

სახ. სათათბიროს მოწვევის საკითხი.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ახლა დუმის მოწვევის საკითხი მმართველ წრეებში საბოლოვოთ გადაწყვეტილი უნდა იყოს; დიდი რყევის შემდეგ ფიქრობენ, რომ სათათბიროს სხდომები გაანახლონ იანვრის თვის დამლევს მაინც. სესია საქმიანი და ხანგრძლივი უნდა დარჩეს; არც სამინისტროების კრიტიკა ექნება მას აღკრძალული, რასაც განსაზღვრულ ჩარჩოებში სასურველათაც ცნობენ. ასე იმედოვნებენ რუსეთის ლიბერალები, ხოლო სინამდვილეს საქმეთა მსვლელობა გვიჩვენებს.

ა გუჩკოვის ავად გახდომა.

მძიმე ავათ გახდა ცნობილი პოლიტიკური „მოღვაწე" ა. გუჩკოვი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს სამხედრო სამრეწველო ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეთ არის არჩეული. ექიმების შემოწმებით ავათმყოფი გულის სისუსტისაგან მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში.

ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა ახალი უფროსი.

ახალი წლიდან ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა გამგეობის უფროსათ უმაღლესის ბრძანებით დაინიშნა ვ. ტ. სუდეიკინი. ახალი უფროსი 58 წლისაა, მაღალი იურიდიული განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში აქვს მიღებული და პროფესიით ვოენნოსტ-სტატისტიკოსია; უმსახურნია ჯერ ფინანსთა შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში. თავისი სტატიებითა და ბროშურებით ერთ დროს სერგეი ვიტტეს საყვედური და წყრომა გამოუწვევია: მაგრამ ძნელი სათქმელია, თუ მისი ნაწერების რა მხარე იწვევდა მინისტრის გულის წყრომას მისდამი. ახლა სუდეიკინი სენატორათ იყო დანიშნული და სენატის მეორე დეპარტამენტის სხდომებს განაგებდა.

ნავთის ფასის განსაზღვრა.

სათბობ მასალის შესახებ საქმეთა საგანგებო სათათბიროს თავმჯდომარემ, თავ. შახოვსკიმ 31 დეკემბერს დადგენილება გამოსცა, რომლითაც მაზუთის უმაღლეს ფასი ფუთზე 45 კაპ. არ უნდა აღმატებოდეს, ხოლო მაზუთიდან [illegible] პროდუქტები კი ფუთი 47 კაპ. [illegible] არ უნდა გაიყიდოს. დამნაშავენი ამ საქმეში დაისჯებიან სამი [illegible]მით ან 3,000 მ. ჯარიმით.

მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტში.

2 იანვარს მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის საჩქარო სხდომა გაიმართა, რომელსაც სრულიად რუსეთის საერობო და ქალაქების კავშირთა კომიტეტების თავმჯდომარეებიც, თავ. ლვოვი და ჩელნოკოვი, დაესწრენ. სხვათ შორის კრებამ კომიტეტში მუშათა ჯგუფის მონაწილეობის საკითხი გაარჩია. კომიტეტმა სასურველათ არ ცნო, რომ მუშათა ჯგუფი სპეციალურ სამხედრო საქმეების გარეშე საკითხებს შეეხოს და სახელმწიფოს დაცვის პირდაპირი საშუალებების გარდა სხვა საგანიც წამოაყენოს. კრებამ ალიარა, რომ თუმცა მუშათა ჯგუფს უფლება აქვს განცალკევებული პრეზიდიუმი იქონიოს, მაგრამ იმავე დროს იგი ვალდებულია მხოლოდ სამშობლოს დაცვის საქმეებში მიიღოს მონაწილეობა ამისთვის კრებას აზრით საჭიროა, რომ მუშათა ჯგუფის ორგანიზაციაში კომიტეტის სხვა დანარჩენი წევრებიც მონაწილეობას უნდა იღებდენო.

უცხოეთი.

იმპერატორი ვილჰელმი მძიმე ავადაა

ათინიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთის დედოფალი დეპეშით გაიწვიეს ბერლინში, რომ ავათმყოფ ძმას ვილჰელმს მიეშველოს, რომელიც ახლა ავათმყოფობის გამო უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება.

ფრაქციიდან ლიბკნეხტის დათხოვა.

გერმანიის სოც. დემოკრ. ფრაქციამ 80 ხმით 25-ის წინააღმდეგ უმცირესობას ლიდერი კარლოს ლიბკნეხტი თავის წრიდან დაითხოვა პარსკევის სხდომაზე, რეიხსტაგში ლიბკნეხტმა განაცხადა, რომ მის შეკითხვებზე მან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, ამიტომა ამბობდა ის, ეს კითხვები ისევ უნდა განმეორდეს და პასუხი უთუოთ უნდა მოგვცენო. მაგრამ ამ მოთხოვნაზე თავმჯდომარემ მას უარით უპასუხა; მაშინ ლიბკნეხტმა შესძახა მას: „თქვენ სიმართლის მიჩქმალვა გსურთ და ხალხს ატყუებთ ამაზე თავმჯდომარემ უპასუხა: წესიერება დაიცავით და ამაზე ლაპარაკი შეწყვიტეთ.

ეგნატე ნინოშვილი,

(იხილე „სამშობლო" № 257.)

როგორც ზევით ვთქვით მე და ეგნატე ხშირი სტუმრები ვიყავით რკინის გზის სადგურისა.

ერთხელ, სადგურზე ვართ... ხალხით სავსეა სადგურის ბაქანი.

მე და ეგნატე ცოტა მოშორებით ვდგავართ და ვმუსაიფობთ.

ამ დროს მატარებელიც მოვიდა.

მატარებელში, სხვათა შორის, ჩვენი პატივცემული ნ. ნიკოლაძეც ბრძანდებოდა.

მატარებელიც გაჩერდა...

ბ. ნიკოლაძე გადმოვიდა, ჩვენ წინ გაიარა და ბუფეტში შევიდა.

ეგნატემ გვერდი მკრა:

— თეოფილე, ამას იცნობ?!

— როგორ არ ვიცნობ?. ნ. ნიკოლაძეა? ვუთხარი და თან დავუმატე.

მაგას ვინ არ იცნობს?!

იმ დროს ბ. ნიკოლაძე რკინის გზის სამართველოში მსახურებდა და რაღაც დიდი ადგილი ეჭირა.

— მაინც!!

— შენ ალბათ გახსოვს მაგის გაზეთი, მაგის მოღვაწეობა?!

— როგორ არა! მახსოვს, თუმცა სასწავლებელში ვიყავი კიდევ მაშინ, მაგრამ მის ცოცხალ, მკვირცხლი და ნიჭიერათ დაწერილ სტატიებს „обзоръ-ში", მაინც დიდის აღტაცებით ვკითხულობდი.

ნ. ნიკოლაძეს დღეს მთელი საქართველო, რუსეთი და ევროპაც კი კარგათ იცნობს...

არ წაგიკითხავს მაგის შესანიშნავი სტატია „Луйбланъ и Гаммбета"?..

— არა, არ წამიკითხავს. სად იყო დაბეჭდილი?!.

— რუსეთის საუკეთესო ჟურნალ „Отечеств.—Записки"-ში.

— ვწუხვარ, ვწუხვარ, რომ არ წამიკითხავს მაგრამ ვეცდები, რომ სადმე ვიშოვნო?!

ამ დროს პირველი ზარი დარეკეს...

მგზავრები ყველანი თავთავის ვაგონებში შევიდენ...

ჩვენ წინ ისევ გამოიარა ბ. ნიკოლაძემ და ისიც თავის ვაგონში შევიდა...

ეგნატემ თვალები გააყოლა და ფიქრებს მიეცა.

მატარებელი წავიდა...

ეგნატეს გადავხედე და ისევ ჩაფიქრებული იდგა.

— რა იყო, ეგნატე? რამ დაგაფიქრა?. ვკითხე გაკვირვებით...

— რამ და ნ. ნიკოლაძის ნახვამ.

— როგორ?..

— ნეტარება იმ მწერალს, ან საზოგადო მოღვაწეს, რომელიც სიცოცხლეშივე დაიმსახურებს ისეთ პატივსცემას, საზოგადოების წინაშე, როგორც ნიკოლაძეს დაუმსახურებია!

იმან არ იცის, ახლა, რა სიყვარული და პატივისცემის გრძნობები გვიღვივის ჩვენს გულში მისდამი?!

შეიძლება ის, არც კი თვლიდეს თავის თავს, სრულ ბედნიერათ, მაგრამ მე კი სრულ ბედნიერათ ვსთვლი მას და მეხარბება კიდეც!..

— მართალი ხარ, ეგნატე, მართალი!

მაგრამ ჩვენ ვინ მიგვიყვანს იქამდის? ჩვენ ვერ შევსძლებთ ამ გვარ დამსახურებას საზოგადოების წინაშე!..

ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ ნატვრა, ნატვრა და მეტი არაფერი...

— მჯერა. შენც მართლაც ამბობ! ჩვენ ვინ დაგვაფასებს?.. ჩვენ ვინ მიგვიყვანს იმის მდგომარეობამდი?! ეს, ხომ რჩეულთა ხვედრია?!.

სთქვა და გაბრუნდა შინ წასასვლელად!..

ეს ის დრო იყო, როდესაც მთელ საქართველოში მარტო ერთი გაზეთი „ივერია" გამოდიოდა. თფილისში, განსვენებულ ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით.

იმ დროს, თუმცა ნამდვილი მწერლები ცოტა იყო, მაგრამ წერის მსურველები მაინც ბევრი იყვნენ ჩვენში. ერთი ჯგუფის ახალ—გაზრდობას მაინც ძლიერ სწყუროდა შრომა, წერა, ლიტერატურული მოღვაწეობა, მაგრამ სად, სად შეეძლო ეწერა?!

ერთი გაზეთის მეტი გაზეთი არ იყო. და არც გამოცემის ნებართვა იყო ისე ადვილი, როგორც იგი დღესაა...

მაშ, რა უნდა ექნათ?..

ისევ ამ მხრივ გაზეთის საქმისთვის გვერდი უნდა აეარათ. და რაიმე სხვა საშუალებისთვის მიემართათ.

ცენზურის კანონის ძალით ყველას შეეძლია სამი წიგნი გამოსცეს ერთი და იგივე სახელით.

ამ კანონით ისარგებლეს ქუთაისის მაშინდელმა სათავად-აზნაურო სასწავლებლის ახალგაზრდა მასწავლებლებმა: ალ. გარსევანიშვილმა, სილოვან ხუნდაძემ, ს. ყიფიანმა და სხვებმა და ჟურნალის მსგავსათ გამოსცეს „ცდა".

„ცდის" ორი ნომერი უკვე გამოვიდა, იმაში მშვენიერი წერილები იყო მოთავსებული ეს წიგნები, სწორეთ, იმ დროს მომივიდა, როცა ეგნატეც ჩემთან იყო.

ეგნატემ წიგნები გადაათვალიერა, ახედდახედა და შემდეგ მკითხა:

— სად გამოდის ეს ჟურნალი?..

— ქუთაისში.

— ვინ სცემს?

— სააზნაურო შკოლის მასწავლებლები! ვუთხარი და მოკლეთ გადავეცი ამ წიგნების გამოცემის ისტორია...

— შენ, ალბათ კარგათ იცნობ ყველას?..

— ვიცნობ.

— გამოვა კიდევ მესამე ნომერი, თუ არა?..

— რადგან ორი ნომერი გამოსცეს, მესამესაც მალე გამოსცემენ.

მე ჩემი მოთხრობა „მწარე ხვედრი", გადავეცი დასაბეჭდათ და უკანვე მომივიდა შემდეგის წერილით: „შეასწორეთ და მესამე ნომრისთვის გამოგვიგზავნეთო".

შინ მოდი და გაჩვენებ წერილსაც და მოთხრობასაც.

— დიდათ დამავალებთ, მაშ შემოვალ! მეც მაქვს ერთი მოთხრობა შემოგიტან საღამოს, წავიკითხოთ და თუ მირჩევ, გადავცემ დასაბეჭდათ.

— კეთილი. ვუთხარი და დავშორდით ერთმანეთს.

მეორე დღეს, საღამოს, ეგნატე ჩემს ოთახში იჯდა და თავის „სიმონას" მიკითხავდა.

ე. ნინოშვილის მოთხრობა „სიმონა" პირველათ ისე არ იყო დაწერილი, როგორც დაიბეჭდა. იგი იყო ყაჩაღის ალსარება. ყაჩაღი მოძღვარს გაუტყდა და ალსარებაში უამბობდა თავის თავგადასავალს. ეს ფორმა მოთხრობისა არ ეთანხმებოდა სინამდვილეს და ამხანაგ-მეგობრების რჩევით ავტორმა შესცვალა და დასაბეჭდათ გადმომცა, თან მთხოვა.

— თუ ვინმემ მოისურვოს ჩემი ნამდვილი სახელი და გვარის შეტყობა, გთხოვთ არ უთხრათ. მე არ მსურს, რომ ჩემი ვინაობა შეიტყოს ვინმემ. ჯერ მე ამის ღირსი არ ვარ.

— რომ არ დაბეჭდონ? მაშინაც არ ვუთხრა?

— არა. თუ არ დაბეჭდავენ-უკანვე გამომიგე. უთხარი მისი გვარი ე. ნინოშვილი არისთქო. მორჩა და გათავდა.

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ქუთაისში წავედი.

ეს მოთხრობაც და ჩემიც თან წავიღე. მინდოდა „ცდის" გამომცემლებისათვის გადამეცა დასაბეჭდათ მაგრამ მითხრეს მესამე წიგნი უკვე იბეჭდებაო, მასალებიც უკვე გადაცემულია და თუ მოიცდით პატარა ხანს, სხვა სათაურით გამოვსცემთ კიდევ სამ წიგნს და იქ მოვათავსებთო.

მე უკანვე წამოვიღე ჩემი მოთხრობაც და ეგნატესიც.

მათი ნათქვამი „პატარა ხანი" დიდ ხანათ გადიქცა და „სიმონა" ისევ თავის პატრონს უკანვე დაუბრუნე.

ქუთაისში აღარც „ცდა", აღარც სხვა ახალი სახელით, იმის მსგავსი არაფერი არ გამოსულა და კაი ხანს „სიმონასაც" თავის ავტორის კალთაში ეძინა.

ამ დროს „ივერიის" კანტორის მართველათ გ. ყიფშიძე ბრძანებდა. ამას მეც კარგათ ვიცნობდი და ბ. ვ. ჭიჭინაძეც, რომელიც მაშინ ყვირილის რკინის გზის სადგურზე მსახურებდა და ყოველ ქართველურ საქმეში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

შევიკრიბეთ ერთ საღამოს და გადავსწყვიტეთ: ე. ნინოშვილის მოთხრობა „ივერიაში" გაგვეგზავნა დასაბეჭდათ და რადგან ვ. ჭიჭინაძე იმ დროს თბილისში მიდიოდა—მისთვის გაგვეტანებია.

ეს გადაწყვეტილება მეორე დღესვე სისრულეში მოვიყვანეთ:

მე ბარათი მივსწერე ბ. ყიფშიძეს, ბ. ჭიჭინაძეს კიდევ თავის მხრივ უნდა გაეცნო ავტორის მდგომარეობა, მისი სიღარიბე, ნიჭი და ეთხოვა რედაქციისათვის ცოტა რამ „გონორარიც", რასაკვირველია, რომ შემდეგშიდაც შეეძლებოდა წერა და შრომა ამ ასპარეზზე.

რამოდენიმე დღის შემდეგ ბ. ჭიჭინაძე უკანვე დაბრუნდა. მაგიერი პასუხი ბ. ყიფშიძისაგან გადმომცა, სადაც მწერდა, რომ ამ მოთხრობას მალე დავბეჭდავთ,

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნება მუსიკალური სასწავლებელი ტ. ი. ვიხოვსკის ქალისა. პირველდაწყებითი, საშუალო და უმაღლესი კურსებით.

✦ გუშინ შავი ქვის სატეხის დარბაზში საღამოს 7 საათზე შესდგა სინათლის საღამოს მომწყობ კომისიის კრება. კრებამ განიხილა საღამოს ანგარიში.

✦ გუშინ, საღამოს, ქუთ. თვითმმართველობის დარბაზში შესდგა სამეურნეო კომისიის თათბირი, პურის ნიხრის მომატების შესახებ. თათბირმა პურის სამივე ხარისხის ოყაზე თითო კაპიკი მოუმატა.

✦ ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება ამ დღეებში მიიღებს ორ ვაგონ შაქარს.

✦ ნიკიფორე ჯანელიძეს და ძმ. გოკიელოვებს სამი ვაგონი შაქარი მოუვიდათ.

✦ სოფ. ზუგდიდში, ნარაზენში და ღიმში ცარცვა გლეჯა გახშირდა. დღე არ გაივლის, რომ სასიმიდე არ გატეხონ და არაფერი მოიპარონ.

✦ საშუალო სასწავლებლების მთავრობებმა მიიღეს ცნობა სახალხო განათლების მინისტრისგან, რომელშიაც, მოხსენებულია; სასწავლებელში დაარსდეს სამხედრო სავარჯიშო კომიტეტი, რათა უფროს კლასის მოწაფეები აქიდანვე შეუდგნენ სამხედრო ვარჯიშობას.

✦ გუშინ სოლქო სასამართლოში გაარჩიეს ლათიკო ქებაძის საქმე.

✦ სოფ. ასკეთში (ოზურგ. მაზ). მოხდა ამავე სოფლის კოოპერატიული საზ. კრება. გამოირკვა, რომ კოოპერატივმა 6 თვეში მოიგო 380 მ. რომლითაც შეიძენენ ახალ საკუთარ კიოსკის, შედგენას.

✦ სოფ. ობჩაში საქონელს საშინელი ჭირი გაუჩნდა. სოფლელები სთხოვენ ექიმებს და ყველა მას, ვინც იცის საქონლის ჭირის წამალი, დაუყონებლივ მოაწოდონ.

✦ სოფ. ჰომის მცხოვრებნი შუამდგომლობენ ქუთ. საფოსტო სატელეგრაფო მმართველობის წინაშე, რათა მოეწყოს სოფ. ჰომში წერილების ჩასაყრელი ყუთი.

✦ სოფ. ხორში მოაგროვეს 4000 მ. უმაღლეს პირ. დაწყებ. სკოლის გასახსნელათ.

სათეატრო ქრონიკა

დღეს, 10 იანვარს, ქალაქის თეატრში „ქართული დრამის“ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ვასო აბაშიძის საგასტროლოთ წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის უკვდავი კომედია „რაც გინახავს ველარ ნახავ“ და ვალერიან გუნიას მხიარული ვოდევილი „რაც არ მერგება, არ შემერგება“ „ავეტიქასა“ და „მირზაფორის“ როლებს შეასრულებს გასტროლიორი.

13 იანვარს, ნიკო გვარაძის ბენეფისი.

მოხსენება

ქართული მართლწერის მკვლევარის სერგი გორგაძისა.

(დასასრული. იხილეთ „სამშობლო“ № 256.)

კამათი უკვე წაკითხულ მოხსენების შესახებ დაინიშნა ოთხ იანვრის საღამოს შვიდი საათისათვის და ყველა, როგორც ერთი კაცი, **სწორედ დანიშნულ ვადაზე** შეიკრიბა ბანკის დარბაზში, რაც ჩვენ საზოგადოებას არ სჩვევია და რაც ამოწმობდა იმ დიდ ინტერესს, რომელიც მოხსენებამ გამოიწვია.

საკამათოთ ჩაეწერენ ბ-ნ სილ. ხუნდაძე, ვუკოლ ბერიძე, იას. ნიკოლაიშვილი, ი. ფანცხავა, პ. წულუკიძე, ტრიფ. ჯაფარიძე და სხვა.

კამათის დაწყებამდე ექიმმა ვასილ წერეთელმა ბარემ ორმოც-სამოცამდე ზმნა ჩამოსწერა და შეეკითხა ლექტორს, როგორი უნდა იყოს მათი მართლწერაო. რადგანაც ამ შეკითხვას უფრო პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა, პასუხი ბ-ნმა გორგაძემ კამათის გათავებისათვის გადასდო.

დაიწყო კამათი. ყველა დიდის მოუთმენლობით ელოდა, თუ რას იტყოდა ცნობილი გრამატიკოსი სილოვან ხუნდაძე. ბ-ნი სილ. ხუნდაძე გატაცებული მომხრეა ფონეტიკური პრინციპისა და ბევრ თავის დებულებას გამოთქმის კეთილხმოვანებაზე ამყარებს გარდა ამისა იგი სასტიკათ სდევნის „დ“ და „ვ“ ს. და ერთ პატარა საგრამატიკო წიგნაკზე პირდაპირ უწერია: ზმნებში „ვ“ არ უნდა იხმარონო. ამ კამათის დროსაც ბ-ნი სილოვანი ამ აზრს დაადგა და ქართული სიტყვების მართლწერის „კეთილ ხმოვანებაზე“ ამყარებდა და უპირატესობას ცოცხალს, ან ხალხში არსებულ (უფრო კი იმერეთში) ფორმებს აძლევდა.

ბ-ნმა გორგაძემ და ნამეტნავად უფრო მკაფიოთ, ნათლად და მაგალითებით ჩამოთვლილით—ბ-ნ ვუკოლ ბერიძემ დღესავით ნათელ ჰყვეს „კეთილხმოვანებისა“ და მარტო ფონეტიკური პრინციპის უნიადაგობა და დაამტკიცეს ცალმხრივობა და არა მეცნიერული ხასიათი ამ პრინციპისა.

ბ-ნი ვუკოლ ბერიძე სავსებით დაეთანხმა ბ-ნ გორგაძის პრინციპებს და ამ პრინციპების უპირატესობა ისე მკაფიოთ და მეცნიერული საბუთებით დაამტკიცა, რომ თვით რეფერენტი დიდი მადლობელი დარჩა ბ-ნ ვუკოლ ბერიძეს.

საზოგადოდ, ბ-ნი ვ. ბერიძე ზედმიწევნით არის განსწავლული ნამეტნავად ძველ მწერლობაში და გვიკვირს, რომ ხშირათ არ აწვდის ქართულ საზოგადოებას თავის გამოკვლევებს, რაც დიდ სარგებლობას მოუტანდა ქართულის სწავლებას თუნდა ქუთ. სათავ. აზნ. გიმნაზიაში, სადაც გამეფებულია ბ-ნ სილოვანის გრამატიკა.

საზოგადოთ, როგორც რეფერენტი, ისე ბ-ნი ვ. ბერიძე და (სხვა ცნობილი მკვლევარნი) უფრო ქართლ-კახურ კილოკავს ეყრდნობიან, რაც საფუძველია ძველი თუ ახალი ქართულის მწიგნობრობისა, და რასაც ასე ბუნებრივათ ითვისებენ ბავშვები. რასაკვირველია, მარტო ქართლ-კახური კილოკავი არა კმარა ქართულის სრულის მართლწერისათვის, მაგრამ მარტოოდენ იმერულ-გურული კილოს გამეფებაც დაამახინჯებს ჩვენს სალიტერატურო ენას, რაც ასე ემჩნევა დასავლეთ საქართველოს მწერლებს (ნინოშვილი, კლდიაშვილი.)

ადგილი და გარემოება ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით მოვიყვანოთ ყველა მაგალითები და ის გრამატიკული ფორმები, რომლებიც ჩამოსთვალეს პატივცემულმა ორატორებმა „დ“ ისა, „თ“ ისა „ტფ“—ისა, „ქტ“—ისა, დ „კტ“—სა დ სხვა ბგერათა კანონიერებისა ამა თუ იმ ფორმა—ბრუნვაში, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „დ“-ს დევნა და მხოლოთ „თ“-ს გამეფება (ვნებითი ბრუნვაში) უკანონოდ იქნა ცნობილი, ისე, როგორც უკანონოთ იქნა ცნობილი „ვ“-ს დევნა ყველგან და ყველა შემთხვევაში.

ამ კამათის დროს უარსჰყვეს აგრეთვე შემოღება ასომთავრულისა, ყოველ წერტილ შემდეგ. ნაწერს აჭრელებს და ტექნიკურადაც საქმეს აძნელებსო. (ი. ნიკოლაიშვილი და სხვანი.) ხანგრძლივი კამათი გამოიწვია „მძიმეს“ ხმარებამაც. ბ-ნი რეფერენტი ზოგიერთ შემთხვევაში „მძიმეს“ ტირეს ამჯობინებს, მაგრამ თუ პრაქტიკულად ძალიან აჭრელდა ნაბეჭდი, „ამ მცირე მსხვერპლის მოტანაც შემიძლიაო“ ღიმილით დააბოლოვა ბ-ნ გორგაძემ თავისი შენიშვნები.

ნამყო დროის მრავლობით რიცხვში უნდა იწერებოდეს „დენ“ და არა „დნენ“ გარდა ერთი სიტყვისა „იყვნენ“-ო. გადასწყვიტეს ერთხმად.

კამათის დასრულების შემდეგ სათითაოდ განიხილეს ექ. წერეთლის მიერ ჩამოთვლილი სიტყვები და შეძლებისა დაგვარად განმარტეს მათი მართლწერა, გარდა ზოგიერთი სიტყვებისა, რომელთაც „დაკვირვება და შესწავლა-გადათვალიერება დასჭირდათ.“

კრებამ ერთხმად მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ნაყოფიერისა და სასარგებლო მუშაობისათვის და დაადგინა: მიენდოს ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის ბიუროს, რაც შეიძლება მალე მოიწვიოს სპეციალისტთა კრება, დაანაწილოს მათ შორის შრომა და ახლო მომავალში გამოიმუშაოს ერთგვარი მართლწერა, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის და რომლის მიხედვით უნდა შესწორდეს და იწერებოდეს ყველა სახელმძღვანელოები.

ასე დამთავრდა ეს მეტათ საყურადღებო საღამო და ხალხი დიდათ ნასიამოვნები დაიშალა.

ნათქვამია „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“ და ჩვენც იძულებული ვართ დავემორჩილოთ კრების საერთო გადაწყვეტილებას, მაგრამ, ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა მიენდოთ პატივცემულ ს. გორგაძისათვის **შეედგინა გრამატიკა იმ პრინციპების მიხედვით**, რომელიც მან წამოაყენა და კრებამაც აუცილებლათ სცნო. ასეთ გრამატიკის შედგენის შემდეგ უფრო თვალსაჩინო შეიქნებოდა ღირსებანი ზემოდ ჩამოთვლილი პრინციპებისა და მეტი საბუთიც გვექნებოდა ზედმიწევნით გაგვეთვალისწინებინა ნაკლი და ღირსება ჩვენგან აღსარებულის მართლ წერის პრინციპებისა.

მაინც კარგს ინებებს ბ-ნი გორგაძე, თუ ახლავე შეუდგება გრამატიკის შედგენა, (რაც უფრო მალე იქნება, ისა სჯობია) ვინაიდან ჩვენ რომ ვიცით ჩვენ დაწესებულებათა ზოზინი, ჯერ კიდევ ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ვიდრე სურვილი ჩვენის კრებისა —მოწვევა სპეციალისტებისა— შესრულდებოდეს.

ამგვარ შემთხვევაში ხშირათ ერთი კაცი უფრო მალე და ბევრს გააკეთებს, ვიდრე კრებული—რომლის შეკვრა—შეთანხმებას მთელი თვეები და წლები სჭირია.

ტყუილათ კი არ დაიჩივლა ბ-ნმა ს. ხუნდაძემ: ეს ოცდა თერთმეტი წელიწადია, ვცდილობდი შემედგინა ისეთი წრე, რომელიც საბოლოოდ გამოიმუშავებდა მართლწერასაო.

დიაღ. 31 წელიწადი! დრო არ არის ახლა მაინც დავაჩქაროთ საქმე!

კ—ა.

წერილი მეგობართან.

მდაბალ სამღვდელოების მდგომარეობაზე შემდეგი იხ. „სამშ“. №257.

მესამე ჯგუფს თავ-აშვებული მღვდლები შეადგენენ, ესე იგი, ისინი, რომელნიც დროების ტარებას მისდევენ. ესენი, თუ შეიძლება ითქვას, სარფის ხალხი არიან, უზომო სმა და ჭამა, მასხარობა, ხანდა-ხან უკიდურესი ცინიზმი—მათი ხელობაა. რომელ ადგილზედაც უნდა იყვნენ, ყველგან შეუძლიათ ცხოვრება, არ აწუხებს მათ არც ადგილზე გადასვლა-გადმოსვლის საკითხი, არც ჯილდოები და არც სხვა რამე; სრულიად არაფრის გაკეთებას არ მაცადინობენ და წირვა-ლოცვის შესრულებაც კი ეზარებათ; ესენი არც არაფერს ინახვენ, თუ რამე იშოვეს, მხოლოდ შვილების აღზრდას კი ცდილობენ, ხალხის სული და გული არიან—თავისი ოხუნჯობა—მასხარაობით. წუთისოფელი მისია, ვინც მოიხმარს, ეს არის მათი დევიზი; მაშ, როგორ გგონია. ჩემო მეგობარო!

მეოთხე ჯგუფი კი სიმდიდრისაკენ მიილტვის, ის იმდენათ აფასებს მღვდლობას, რამდენათაც ამ სამსახურს მისთვის ქონების შეძენა შეუძლია; ამის გარეშე არაფერი არ არსებობს მისთვის, კარგი სამოვრის ადგილი, სხვას არაფერს დაგიდევს.

III

სამღვდელოების დაცემის მიზეზები გამომდინარეობენ აგრეთვე მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობიდან.

დღეს ბევრი რამ შეიცვალა და გუშინ რაც იყო, ახლა ვეღარ ვხედავთ, თუმცა ზოგიერთ საგანზე წინათ შემდგარი აზრი ძველებურად არსებობს. ეს იმიტომ, რომ, როგორც ვიცით, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. ბევრს ტრადიციულ შეხედულობას ფესვები ღრმადა აქვს გადგმული ცხოვრებაში და ამისათვის დიდი დრო სჭირდება ამ ფესვების ძირიანათ ამოთხრას. ძველებური შეხედულობა სამღვდელოების სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე არსებითად არ შეცვლილა. დღესაც საზოგადოთ ის აზრია გამეფებული, რომ თითქოს მღვდელი დიდ პატივისცემაში იყოს ერთი მხრითაც და მეორითაც.

მაგრამ ეს აზრი სიმართლეს მოკლებულია. იყო დრო, როცა ორივე მხრით მღვდელი ბედნიერებას განიცდიდა, ესე იგი, საზოგადოება დიდათ აფასებდა, წრფელი გულით პატივს სცემდა მას, უყვარდა იგი და მაღლა აყენებდა მის პიროვნებას (იმ დროს მღვდელი გონებრივათაც მაღლა იდგა თავის მრევლზე) და ყოველივე ამასთან მღვდელ—მოქმედების შესრულებისათვის გულ-უხვად ძალიან დაუტანებლად აძლევდა საშრომს, ასე რომ არაფერს არ იშურებდა მისთვის და პირ იქით თავი ექებოდა, როცა თავის მოძღვარს მეტს მიუძღვნიდა, მაგრამ იგი დრო უფსკრულში ჩაეშვა. ახლა კი სულ სხვაა და ვინ იცის კიდევ შემდეგში რა იქნება? მე მრწამს სამღვდელოების მდგომარეობის გამოკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას თვით სამღვდელოება ეცდება და ზნეობრივათ და გონებრივათ მაღლა იდგომება; სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამღვდელოება ისევ ამაღლდება ხალხის თვალში, ისევ მოიპოვებს მისგან სიყვარულს, უკეთუ ის ამის ღირსი იქნება. დიაღ, ეს შესაძლებელია და ღირსეული სამღვდელოება ამას ისევ მიაღწევს. დღეს კი სამდურავი არ გვმართებს

ტყუილ-უბრალოდ ნუ მოვიტყუებთ თავს, ახლა სულ სხვა მდგომარეობაში ვართ; მარტო წესების ასრულებით აღარავინ კმაყოფილდება, სხვა მოთხოვნილებანი წამოაყენა ცხოვრებამ და ჩვენგანაც ბევრს რასმე მოითხოვენ. ჩვენ კი ამისთვის მზათ არა ვართ, ან არ შეგვიძლია, ან არ გვინდა ამ მოვლენებს ანგარიში გაუწიოთ. ჩვენ შორის არაა ერთობა, შეკავშირება, ნაკ[illegible] ასაცილებლად და ცხოვ[illegible] პირობების შექმნაზე მოსალაპარაკებლად. არ ვეძებთ საშუალებას, რომლითაც შესაძლო შეიქნება ხალხთან კეთილი დამოკიდებულობა. თუმცა ჩვენ გვაქვს ხოლმე საეპარქიო და საბლაგოჩინო კრებები, მაგრამ აქ ერთ სულიოვნებას ვერ შეხვდები, რომ საერთო თხოვნით, ან მოთხოვნით გატარდეს ამ კრებებზე ისეთი რამე სასარგებლო, რაიცა ჩვენ ზნეობრივ ან გონებრივ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ეს კრებები, ხარჯის გადასახადების კრებებათ უნდა ჩაითვალოს. უმაღლესი მთავრობისაგან ჩვენ უფლებიან ხალხათ ვითვლებით, კრებებიც მისგანვე ნება დართულია და ვფიქრობ, რომ არც აღკრძალული გვაქვს ჩვენს პირ-ვარამზე ლაპარაკი. მაგრამ საერთოთ ამას ჩვენ გაურბით და. თუ ვინმემ ხმა ამოიღო რამე სასარგებლო საქმეზე, ნეტავი მას! უმეტესობა ბურთს ჩაუდებს პირში, უკმაყოფილებას გამოაცხადებს და მოჰყვება უსაფუძვლო მტკიცებას, რომ არაფერი არ გვაკლია და ყოველისფერი საუცხოვოთ გვაქვს მოწყობილი, ასე რომ, თითქოს მეტის ნატვრაც კი არ შეიძლებოდეს. ადგილობრივ მთავრობას კი მონობის უღელი დაუდგამს ჩვენს კისერზე და საითკენაც უნდა საქონელივით იქით მიგვერეკება და როგორც უნდა, ისე გვატრიალებს. მონობაში კი ყველაფერი კარგი მისწრაფება—მიმართულება ისპობა, სალი გონიერება ჩლუნგდება და დამფრთხალ, დაბეჩავებულ ადამიანს თავ-მოყვარეობა სრულიად ეკარგება, აღარა აქვს იმედი ნაყოფიერი საქმიანობისა, ასე რომ მისი პიროვნება სრულიად ითქვიფება. ჩვენ პატრონი არა გვყავს, რომ ამ დუხჭირ მდგომარეობიდან გამოგვიყვანოს, პირიქით ყველა ჩვენ გვჩაგრავს; სოფლის იასაულიც კი ჩვენი უფროსი შეიქნა, მისიც უნდა გვეშინოდეს, რომ მწერალ-მამასახლისთან რამე არ აგვიტეხოს, თორემ, თუ ფრთხილათ არ ვიქნებით არ გვარგებს; ისინი დიდი გავლენიანი პირები არიან, მათ ყველა უჯერის და პატივსა სცემს, როგორც მათი მთავრობა, ისე ჩვენიც; ჩვენ ეს პირები რასაც გვიბრძანებენ, იმ წამსვე უნდა შევუსრულოთ და ჩვენ კი, რაც უნდა კანონიერი რამე მოვითხოვოთ მათგან, ყურსაც არ იბერტყავენ. თუ გნებავსთ, შეელიეთ მათთან მეგობრულ დამოკიდებულობას და მათ უსამართლობაზე განაცხადეთ სადაც ჯერ არს, რას მოიგებთ? რაც გინდ საფუძვლიანი იყოს თქვენი განცხადება, მაინც ტყუილ-უბრალოთ ჩაგივლისთ, იმათ არავინ რასმეს კადრებს და თქვენ კი მათ სამუდამოთ გადიმტერებთ. მაგრამ, კმარა ამაზე ლაპარაკი. რაც ითქვა, იქიდგანაც ცხადათ სჩანს, თუ როგორია ჩვენი სოციალური მდგომარეობა.

მღვდ. პარმენ ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ზედა ილემი. (შორაპნის მაზრა). თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს სოფელი ზოგიერთ უმგვანო პირთა წყალობით ჩამორჩენილია მახლობელ სოფლებთან შედარებით ყოველგვარ კულტურულ წინმსვლელობის მხრივ. სხვათა შორის აღსანიშნავია შემდეგი საყურადღებო ფაქტი: ამ რამდენიმე წლის წინად ამ სოფელში ზესტაფონის წ. კ. გ. ს. განყოფილებამ გახსნა უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველო. საზოგადოება ამ მოვლენას აღტაცებით შეეგება, სათითაოდ ყველამ გამოიღო წვლილი და დაეხმარა ახლად დაარსებულ სამკითხველოს. ადგილობრივ მცხოვრებლებმა გამოუწერეს სამკითხველოს თითქმის ყველა ქართული ჟურნალ გაზეთები. შესწირეს აურიცხველი ქართული წიგნები, მაგრამ ორი სამი თვის განმავლობაში შეწირული წიგნები სულ მთლად ერთიანათ გაიბნა, დაიკარგა, გაზეთები თავის დროზე არ მოსდიოდა სამკითხველოს. მაგალითად, დღევანდელი ნომერი ორი კვირის შემდეგ მოდიოდა სამკითხველოში. ყველას გული აუცრუვდა და ამას შემდეგ არა-

---

მაგრამ სთხოვეთ ავტორს შემდეგშიდაც გამოგვიგზავნოს ამისთანა მოთხრობები. დიდის სიამოვნებით მივიღებთ და დავბეჭდავთო. თან ბ. ჰუჯინაძემაც მოგვიტანა მეგზურივე ამბავი, რომ, რაც შეგვეძლება, „ჰონორარსაც“ მივსცემთ და მოთხრობასაც დავბეჭდავთო.

ეს ამბავი, როგორც ავტორს ისე ჩვენ, ყველას გვესიამოვნა. ამის შემდეგ მუდამ თვალყურს ვადევნებდით „ივერიის“ ნომრებს, და ვფიქრობდით: აბა, როდის არის, რომ დაიწყებენ ამ მოთხრობის ბეჭდვასო.

ამასაც მალე მოვესწარით. დაიწყეს „სიმონას“ ბეჭდვა ფელეტონებათ. წავიკითხეთ ერთი, ორი და სამი ნომერი. მოთხრობამ ბევრის ყურადღება მიიქცია.

აღტაცებით კითხულობდა მას, განსაკუთრებით დაბალი ხალხი: გლეხები მუშები წვრილი მოხელეები და სხვანი, რადგან მასში ნათლად ხედავდნენ თავიანთ დაბეჩავებულ მდგომარეობის გამოხატულებას, ხედავდნენ შიგ თავის სახეს, მდგომარეობას და უსამართლობისა გამო ტანჯვა-წვალებას.

იტაცებდნენ „ივერიის“ ნომრებს, სადაც ეს მოთხრობა იყო დაბეჭდილი და გატაცებით კითხულობდნენ.

ერთხელ მე და ეგნატე მატარებლით ქუთაისში მივდიოდით. ვაგონში ერთად ვისხედით და რაღაცაზე ვმუსაიფობდით.. ცოტა გავიარეთ თუ არა გვერდ მომიჯდა ერთი ჩემი ნაცნობი რკინის გზის მოსამსახურე ქართველი, ამბავი მკითხა და მერე „ივერიის“ ნომერი გადმომცა.

— შენ, ალბათ კითხულობ „სიმონას“ ნინოშვილის მოთხრობას? მკითხა.

— ვკითხულობ.

— შენ?

— მეც ვკითხულობ.

— ყველა ნომრები წაიკითხე?

— ყველა.

— მოგწონს? როგორია?

— მე კარგა ყველას მოსწონს. ვისაც კი ერთი ნომერი წაუკითხავს, ის უსათუოთ ყველას წაიკითხავს ისეთი მშვენიერი ენით და სინამდვილით არის აწერილი დაბეჩავებული ხალხის მდგომარეობა.

დღეს თფილისიდგან მოვდივარ. რკინის გზის სადგურზე გაზეთ „ივერიის“ ყიდვა მინდოდა, მაგრამ ისე დაიტაცეს „ივერია“ კონდუქტორებმა, მეისრეებმა და სხვებმა, რომ ეს ნომერი სხვაგან ვიყიდე.

— რა ამბავია, რა არის რომ ასე იტაცებთ ამ გაზეთს მეთქი?!.

ვკითხე ერთ მეისრეს.

— არაფერი, ბატონო! ე. ნინოშვილის მოთხრობა, „სიმონა“ არის შიგ დაბეჭდილი და მიტომ ვყიდულობთო.

მომიგო მეისრემ..

— ვინ არის ეს ნინოშვილი, შენ იცნობ ალბათ! მითხრეს ვიღაც შავი ქვის მწარმოებელიაო, ზოგი ამბობს მუშაო!

ისიც მითხრეს, რომ ყვირილაში ცხოვრობსო. შენ როგორ არ გეცოდინება?.

— არა, არ ვიცნობ! ცოტა ღიმილით ვუთხარი და ეგნატეს გადავხედე.

ეგნატეს მკრთალ პირის სახეს წითელი [illegible] გადაკვროდა.

სიამოვნების სხივი ვარდის ფრთათ აჭრელებდა მის გამხდარ ლოყებს.

კიდევ გადავხედე მეორეთ და ვაცნობე, რომ იმის ვინაობის გამხელას ვაპირებ.

მიმიხვდა და ყურში ჩამიჩურჩულა:

— თუ ძმა ხარ, არაფერი სთქვა. ჩემი ვინაობა არ გაამჟღავნოო. მითხრა და პირი ფანჯრისაკენ მიიბრუნა.

ჩემი ნაცნობიც დაკმაყოფილდა ჩემი პასუხით და ამის შემდეგ სხვა საგანზე დავიწყეთ მუსაიფი.

თეოფ. ხუხკივაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ყურადღებას აღარ აქცევდა. რომ საქმე როგორმე გამოკეთებულიყო ერთი ახალგაზრდის მეთაურობით გაიმართა წარმოდგენა ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოთ. წმინდა შემოსავალი 70 მან. [illegible]. ეს ფული გადაეცა ადგილობრივ შკოლის გამგეს. ამ ფულიდან ნახევარი შკოლას უნდა მოხმარებოდა, ნახევარი კი სამკითხველოს. მაგრამ ამათდ ფული არ მოხმარებია არც ერთს და არც მეორეს. ასე რომ, სად გაქრა ეს ფული ალახმა უწყის. თუმც რამდენიმე შეკითხვა იყო ამის შესახებ, მაგრამ დამნაშავენი სდუმდენ.

დღეს მადლობა ღმერთს, საქმე შემობრუნებულა. ადგილობრივ სამკითხველოს საქმე უკეთეს პირობებში ჩაუყენებიათ. აურჩევიათ ახალი, გამგე ბ-ნი შ. კანდელაკი. მთელი ამ სოფლის მოწინავე ელემენტები ენერგიულათ შესდგომიან საქმეს. ვნახოთ მომავალი რას გვეტყვის.

ლას—მანი.

პატარა ფელეტონი.

ეშმაკი მათე.

(ნამდვილი ამბავი)

1.

— ქალო! საქმეს მოჰკიდე ხელი! სულ ასე უსაქმოთ ხეტიალი და ავკაცობა არვარგებს. „კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს“ ფრთხილი მელა ოთხივე ფეხით გაებაო,—შენც ასე დაგემართება...

— დაიწყე ჰო!.. ქალო, მუშაობა რომ არ შემიძლია, არ იცი? ჩემი ხელობა ეს არის! ჩემს მამა-ბაბუასაც ამ ხელობით მოუჭამია დღე!.. ისეთ ღვინოს კი მოგიტან, რომ სულ პირს ჰკოცნიდე...

— „ღვინოს მოგიტან“... სიმინდი? ხომ ხედავ, ორი მჭადის ფქვილი გვაქვს მხოლოდ...

— ნუ გეშინია! სიმინდიც იქნება. შენ მხოლოდ აქ მარჯვეთ იყავი, ოჯახს მოუარე; ჩემი ჯავრი ნუ გექნება! მე ვერავინ დამაკლებს რასმე. სამ დღეში დავბრუნდები!—გაიხურა მათემ კარი, მოახტა თავის კურტნიან ცხენს და გაუდგა გზას. თან მიქონდა:—ერთი ხუთჩაფიანი ტიკი, ორი ტომარა, შავი ძველი ნაბადი და საპალნის გადასაკრავი ბაწარი.

2.

მკათათვეა. კალოზე სამი კაცი მუშაობს—პურს ლეწვენ. ამათ მათე დაესალმა. ჰკითხა: ღვინო და სიმინდი ხომ არა გაქვთ გასაყიდი—ვიყიდიო. არ გვაქვსო—უთხრეს. სადილათ დასხდენ და მათეც მიიპატიჟეს. ენაწყლიანმა მათემ მოხსნა სიტყვას თავი. რა არ ილაპარაკა! მასპინძლები მოხიბლა. კარგათ გაუმასპინძლდენ. მჭადი ქონდათ წამოღებული სადილისთვის, მაგრამ რაკი სტუმარი ყავდათ, სამხრისთვის წამოღებული სამი პურიც მოიტანეს სუფრაზე. ერთმა ძმამ წამოროშა: დას ძღვენი გავუგზავნეთ დღეს და რაკი ყანაში მოვდიოდით და სამი მჭადის მეტი არ იყო გამომცხვარი, სამხრისთვის ეს სამი პურიც წამოვიღეთო... მათემ ქართველებს პურადობა უქო... ძალიან მოეწონა წითელი ღვინო! ახლა ქე რაა?—წამოილაპარაკა იმავე მუშამ: სამი ჩაფი თუღა იქნება დარჩენილი ოცდახუთ ჩაფიან ჭურში! ღვინო მაშინ იყო, როცა ბევრი არ ეკლდა ჭურს... ასეთი ღვინო მთელ ჩვენს სოფელში არსად არ იყოო. მათემ იკითხა: აქედან შორს იქნება თქვენი სახლიო? უთხრეს: არ ვართ შორს;—ხელი გაუშვირეს: იმ კრამიტით დახურულ ბუხრიან სახლში ვართ, გაღმა სოფელში მდინარის ახლოს ყორით შემოღობილ დიდ მწვანე ეზოში რომ სდგასო...

მათემ მასპინძლებს მადლობა უთხრა და გზას გაუდგა...

3.

— თუ მოგყიდით, რატომ არ გამოგყვეთ ერთ-ერთი?! ვერ გაგატან!

— თქვენი ნებაა! მე გავბრუნდები, ვეტყვი თქვენს ქმარს, მაგრამ გაცდება. ამას მოერიდა ისიც. შეიძლება კიდეც გაგიწყრეთ თქვენ...

— მითხარით კიდევ,—როგორ გითხრათ, რა დაგაბარათ?

— აი, რა: ოცდახუთ ჩაფიან ჭურში რომ წითელი ღვინოა—სამი ჩაფი თუღა იქნება შიგ,—იქიდან ორი ჩაფი ღვინო გაგატანონო. ათი ბათმანი სიმინდიც უნდა მომცეთ. ფული დატოვებული მაქვს... რაფერის ღვინო გაქვთ?! და რომ ის ნამდვილათ თქვენი ქმარი იყო,—ამ ოჯახის უფროსი, ამას იმითი მიხვდებით, რომ ქონდათ. სხვათა შორის—სამი პური. თქვენ: დას ძღვენი გავუგზავნეთ და ეს პურები მოვიტოვეთო... კიდევ აღარ გჯერათ?

— კარგი, კარგი; გაგატან მაინც...— აუწყო ორი ჩაფი წითელი ღვინო, ათი ბათმან სიმინდი, აჭმა სამხარი და გაისტუმრა.

მხიარული ღიღინით გაუდგა მათე გზას.

4.

გიორგიმ კინაღამ მოკლა ცოლი—რათ გაატანეო. ყველა დალონდა! რა უნდა ექნათ? ისევე ინათხოვრა ცხენი გიორგიმ და გაუდგა ქურდს. მისდია კვალს კითხვით და შუაღამისას მათესას გაჩნდა! შეკრთა მათე, არ მოელოდა. ენა კი არ დაბმია!—შევრცხვი შენთან, ცუდი საქმე ჩავიდინე, მაგრამ მაპატიე, უკიდურესმა გაჭირვებამ ჩამადენიაო.

— ნურც მიჩივლებ! ფული არა მაქვს, მაგრამ სხვა წაიღე რამე. ერთი ხუთ საპნიანი ჭური მაქვს. მოიყვანე ურემი მოთხარე და წაიღე. ეს სიმინდი და ღვინო თუმანი თუ ეღირება. ჭური კი ოცი მანეთი მაინც ღირს, თუ მეტი-არა.

გულუბრყვილო გიორგიმ დაიჯერა და თან უხაროდა—რომ ჭური იშოვნა. კითხა, როდის მოვიდე წასაღებათო.

— როცა გინდა! წერაქვი და ბარიც წამოიღე თან: მე არა მაქვს; არც მეზობლათ აქვს ვისმე...

მესამე დღეს გიორგი მოვიდა. მათე შინ არ დახვდა. ამისმა ცოლმა ჭურის მოთხრის ნება არ მისცა: მე არაფერი ვიცი—ჩემთვის არ დაუბარებიაო. ნების დაურთველათ კი ვერ ამოიღო და ისევე გაუდგა [illegible] გზას. წერაქვი მაინც არ წამოიღო ნეტა, მხარი მატკინაო, ნანობდა.

გავიდა ერთი კვირა. გიორგი კიდევ მოვიდა, მაგრამ მათე არც ახლა დახვდა შინ. ორი კვირის შემდეგ კიდევ მოვიდა ღამით. მათე შინ იყო.

— რაღათ ვარ ცოცხალი გიორგი! მე შენთან შევრცხვი! მაგრამ იმედი მაქვს შეხვალ ჩემს მდგომარეობაში და მაპატიებ: სწორეთ იმ დღეს დილით, როცა შენ უნდა მოსულიყავი, მამიდაშვილებიდან მომივიდა კაცი. ერთმანეთში დავა ქონდათ და მედიატორათ ავერჩიეთ. საქმე სწორეთ იმ დღეს ირჩეოდა. რომ არ წავსულიყავი, საქმე ბრკოლდებოდა...

— ახლა გინდა ისევე ის ჭური წაიღე, გინდა სასიმინდე... ვივახშმოთ და დილას გაჩვენებ. მე მგონია მოგეწონება.

სასიმინდე მართლა ძლიერ მოეწონა. მესამე დღეს ხარ-ურმით უნდა მოსულიყო წასაღებათ.

მოვიდა. მათე შეეგება. ისადილეს. შეთვრენ. მათე სადღაც გაიპარა. გიორგიმ სძებნა, ვერ ნახა, მაგრამ ცარიელი შინ ვეღარ გაბრუნდა. მონახა კიბე, მიიდგა და დაუწყო რღვევა. რომელი ხარ შენო—გამოვარდა მეზობელ სახლიდან ვიღაცა კაცი. უთხრა გიორგიმ: მომყიდა მათემ, უნდა წავიღო—როგორ თუ მოგყიდა, ეგ ჩემი სასიმინდეაო. გიორგი გაძალდა. მაგრამ როცა ორი-სამი მოხვდა ბეჭებში, იკადრა ჩამოსვლა. შეაბა ხარები და თვალცრემლიანი გაბრუნდა. შეევედრა ღმერთს: ღმერთო, შხამათ შეარგე მათეს ჩემი პურღვინოო. წამოიძახა: ვინც მათეს სიკვდილს მახარებს, ხუთ მანეთს მივცემ სამახარობლოთ.

გაჯავრებულმა მოჩივართან იჩივლა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

5.

ზაფხულზე გიორგი მახლობელ ქალაქში მიდიოდა. ორ კაცს დაეწია. ბაასობდენ. ერთმა მათგანმა სთქვა:—ცუდი კაცი იყო მათე და ცუდათ წაუვიდა საქმე: ცოლიც მოუკვდა და თვითონაც მოჰკლეს ვიღაც უცნობებმაო. გიორგიმ გამოიკითხა დაწვრილებით და როცა გაიგო ეშმაკი მათე მოუკლავთო. გაიღიმა;—აი, ღმერთმა თხოვნა მისმინაო. თავისი სიტყვა უკანა აღარ წაიღო და მახარობელს სამ-მანეთ ნახევარი აჩუქა. ღოთქმა მქონდა ხუთი მანეთი მიმეცა, მაგრამ ახლა მეტი არა მაქვსო. ამისმა მახარობელმა დიდი მადლობა უთხრა და ერთმანეთს დაშორდენ.

6.

მეორე დღეს გიორგი გავიდა ქალაქში და ერთ სამიკიტნოში თვალი მოკრა ორ კაცს. სახე ეცნაურა. მივიდა. მიიპატიჟეს, [illegible]

— შენი არც პური მინდა, არც ღვინო, არც სალამი—არაფერი! წყეული იყოს შენი სახელი!—მიაფურთხა და გარეთ გავარდა. გზაზე წაიბუტბუტა: „კაცს წყალში ნაჯახი ჩაუვარდა და ცულიც თან გადაატანაო, ჩვენზე ითქმის.“

იმ ორმა კაცმა კი სიცილი ასტეხეს და მრავალჟამიერი წამოიწყეს.

ერთი ამათგანი იყო! მათე, რომელსაც გუშინ გიორგიმ სამახარობლოთ სამ მანეთ ნახევარი მისცა... იცოდა მათემ გიორგის დაპირება, შეხვდა, იცნო, მოიგონა-თითქო მათე მოკვდაო... გიორგიმ ვერ იცნო, რაკი საღამო იყო და კიდევ ფული აჩუქა!...

გერასიმე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 7 იანვარი. დღის ოფ. ცნობა. უაზსა და მდ. ენს შუა ღამის განმავლობაში რამდენიმე შეტაკება მოხდა სადარაჯო რაზმებს შორის. შამპანში ჩვენმა არტილერიამ გაფანტა მტრის ბარგის დამცველი რაზმი. ვილსიურტურბიდან ვუზერისკენ მიმავალ გზაზე. ლიუნევილის მიდამოში მტრის მფრინავებმა სამი ყუმბარა ჩამოაგდეს. უშედეგოთ მტრის მეორე მფრინავი იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო ფლემის ახლოს. 2 ოფიცერი და აპარატის მართველი ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში.

თეირანი. 7 იანვარი. თეირანში სასიხარულო ამბავი მოვიდა, რუსის ჯარმა სუთან აბადი დაიკავა, რომელიც ახლახან ინგლისის კოლონიამ დატოვა. გერმანეთის ელჩი ბურუდეს გაიქცა.

პარიზი. 7 იანვარი. ბერლინიდან და ვენიდან მოსულ ცნობების გამო მთაშავეთის კაპიტულაციის შესახებ მინისტრ პრეზიდენტი დეპეშით აცნობებს პარიზში მყოფს მთაშავეთის საქმეების რწმუნებულს, რომ მეფემ და მთავრობამ ავსტრიის წინადადება გადაჭრით უარყვეს და გადაწყვიტეს იბრძოლონ უკანასკნელ ღონისძიებამდე.

დაჭრილთა სია.

ოსმალეთის ფრონტიდან თფილისში ჩამოიყვანეს და სხვა და სხვა საავადმყოფოებში მოათავსეს ქართველი დაჭრილნი და ავადმყოფნი ჯარის კაცნი: 29—31 ქრისტეშობისთვეს.

რუსიშვილი ტრიფონ ბასილის ძე, რაჭის მაზ. ს. იწა.

მანჯარიძე ტარასი სოფრომის ძე, რაჭის მაზ. ს. ზემო კრიხი.

ტურაშვილი ნიკოლოზ გიგოს ძე სიღნაღის მაზრა ს. საქობო.

გოგოშიძე ბიქტორ დავითის ძე, შორაპნის მაზ. ს. ვარძია.

მარტაშვილი ზაქარია დავითის ძე, სიღნაღის მაზ. ს. კარდანახი.

ფერაძე ემანუილ გრიგოლის ძე, ქუთ. მაზ. ს. გორა.

აგულაშვილი ვანო მიხას ძე, სიღნაღის მაზ. სოფ. ქანდაური.

ბიქოშვილი რომანოზ, გორის მაზრა ს. მძარი.

დუგლაძე ალექსანდრე ბესოს ძე, შორაპ. მ. ს. მწყერის ცხე.

ჯიგოშვილი გიორგი სოლომონის ძე, გორის მაზრა. ს. არკნეთი.

გურგენიძე კონსტანტინე სერგოს ძე, ქ. თფილისიდან.

ლომიძე დავით ერმანეს ძე, გორის მ. ს. გაბა.

შველდაძე ივანე აგაბოს ძე, ქუთ. მაზ. ს. ობჩა.

ბერაძე ივანე მალაქიას ძე, შორაპ. მ. ს. ხიდარი.

ქეიშვილი გიორგი გლახის ძე, ქუთაისიდან.

მეგრელიშვილი ილია იოსების ძე, ლეჩხუმის მ. ლაილაშიდან.

გუძიევი გრიგოლ ერემის ძე, ქალაქ თფილისიდან.

ქობიტაშვილი ვანო მიხაკოს ძე, სიღ. მაზ. ს. ბოდბე.

ხიხაძე გიორგი ბესარიონის ძე, შორ. მაზ. ს. დილიკაური.

ნამგალაძე პართენ მარკოზის ძე, რაჭის მ. ს. ზოგიული.

კორხიზე ამბაკო ლევანის ძე, ქუთ. მ ს. გუბი.

[illegible] გიორგის ძე, გორის მაზ. ს. [illegible]

გოქოიძე გიორგი დავითის ძე, შორაპნის მაზ. ს. ცხევი.

ქეიშვილი მოსე ონისიმეს ძე, ს. ქვიტირი ქუთ. მაზ.

პირველ იანვარს ჩამოიყვანეს.

კახუშვილი მიხაკო ტიმოთეს ძე, თელავის მაზ. ს. აწყური.

დათუნაშვილი რაჟდენ ვანოს ძე, თელავის მაზრა ს. ურიათუბანი.

წითელაური სერგო პეტრეს ძე. თელ. მაზრა ს. აწყური.

ზაქიძე ნიკოლოზ ივანეს ძე, თფილ. მ. ს. ვანეთი.

ვარაზაშვილი გიორგი ანდრიას ძე, სიღ. მ. ს. ჯიმითი.

იაკობაშვილი სიმონ იოსების ძე, შორ. მაზ. ს. ჩიხა.

ტყეშელაშვილი ილარიონ ალექსის ძე, ქუთ. მ. ს. ბზვანი.

არაბიძე იპოლიტე ნიკოლოზის ძე, შორაპ. მ. ს. კვალითი.

ესაკია დავით შაშას ძე, ქ. ფოთიდან.

გაბაძე გედეონ ბიჭიას ძე, შორაპ. მ. ს. ქორეთი.

გვერაძე ნიკიფორე აბრამის ძე, ოზურგეთის მ. ს. ლიხაური.

კეკელია პროკოფი სპირიდონის ძე, ქუთ. მაზ. ს. ახალ სოფელი.

ზაქაშვილი დავით ნიკოლოზის ძე, გორის მაზრა ს. ახალ სოფელი.

ბაზრაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე, მ. ს. კაჯეთი.

ლოლაძე სიმონ ნესტორის ძე, შორ. მაზ. ს. ხრეითი.

გლახსაშვილი თედორე თედორეს ძე, გორის მაზრა ს. [illegible]

ღლონტი სერგო თედორეს ძე, ოზურგეთის მაზ. ს. აკეთი.

მშვიდობაძე მირიან [illegible] ძე, ლენჩხუთიდან.

კაჩიბაია ალექსანდრე ფილუს ძე, ახალ სენაკიდან.

ალმაზაშვილი გრიგოლ ივანეს ძე, დუშეთის მ. ს. ბაზალეთი.

ბობოხიძე მელიტონ ანტონის ძე, სენაკის მ. ს. გორდი.

კეველიშვილი ნიკო იოსების ძე თელავის მ. ს. კურდღელაური.

ზგოევი ბიძო ბაბას ძე, ინგუში—თერგის ოლქიდან.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომც. **ი. ცინცაძე.**

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— საღამ.	— 6 ს.	57 წ.
ბათომიდან	— დღისით	— 1 ს.	25 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— დღისით	— 5 ს.	30 —
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	— დღისით	— 4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	— დღით.	— 5 ს.	— —

ქუთაისის განყოფილება

ამხ.-ბა „პროვოდნიკი“.

აქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი

კალოშები საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა სრულის ამორჩევით.

საეტლო შინები საერთაშორისო მარკები „სლონ“ და „სვერხ-სლონ“

და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა. 30—1

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ავათმყოფნი გონორეი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი პროფ. მორნისა.**

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმეშიდაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, ცენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ვ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით განთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ტყუილათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი უერთგულესი **ია. ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. (წერილი)